



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ძირითადი მიგნებების შესახებ

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტი

ანა კვარაცხელია

კორპორატიული ფინანსების განყოფილების უფროსი

26 ნოემბერი, 2020 წ.

განსახილველი საკითხები

- ❖ **წარდგენილი ანგარიშგებების მიმოხილვის ძირითადი მიგნებები**
 - ❖ მიმოხილვის საგანი
 - ❖ წლიური ფინანსური ანგარიშგებები
 - ❖ აუდიტორთა მოსაზრება, მმართველობითი, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები
- ❖ **საყურადღებო საკითხები 2021 წლისთვის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად**





წლიური ფინანსური
ანგარიშგება და
დამოუკიდებელ
აუდიტორთა დასკვნა

წლიური
მმართველობითი
ანგარიშგება

ნახევარი წლის
ფინანსური ანგარიშგება

მიმდინარე
ანგარიში/ინსაიდერული
ინფორმაცია

- ❖ წარდგენილი აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების პირველადი მიმოხილვა განხორციელდა სებ-ისა და სარასის თანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი თვინინგის პროექტის, **“ფინანსური აღრიცხვის და აუდიტის ხარისხის ამაღლება საქართველოში”** ფარგლებში, საბერძნეთის საზედამხედველო ორგანოს მხარდაჭერით;
- ❖ 2020 წლის ანგარიშგებების მიმოხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და სებ-ის მიერ იდენტიფიცირებული საკითხების კომუნიკაცია შესაბამის ანგარიშვალდებულ საწარმოებთან განხორციელდება პროცესის პარალელურად;



- **საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობის პრინციპი** - პრინციპთან შესაბამისობის დემონსტრაცია ანგარიშგებაში გამჟღავნებული მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით;
- **მენეჯმენტის დაშვებები & შეფასებები** - ბაზრისა და სექტორის მახასიათებლებისგან/მიმდინარე ტენდენციებისგან მატერიალურად განსხვავებული დაშვებებისა და შეფასებების არგუმენტაცია (მაგ. ზრდის განაკვეთები, დისკონტირების განაკვეთები, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა, აქტივების გაუფასურების ტესტირება, ფუნქციური ვალუტის არჩევა, სხვ.)
- **ანგარიშგებების წარმოდგენისა და გამჟღავნების ხარისხი/სისრულე** – დაუზუსტებელი, გაურკვეველი განზოგადებული ან დაკოპირებული ინფორმაცია.
 - **გამჟღავნებული ინფორმაციის შესადარისობა** - ფინანსურ ანგარიშგებებსა და თანდართულ შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობა/მითითებები (cross-references);
 - **ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა** - გამოტოვებული ან შენიშვნებში/ანგარიშგებებში გამჟღავნებულ ინფორმაციასთან შეუსაბამო სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერები;
 - **გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან** - არასრული/დაუზუსტებელი აღწერა ან ინფორმაცია;
 - **სხვა საკითხები** - გამოტოვებული თემატური ინფორმაცია | საბალანსო უწყისი მიმდინარე/არა-მიმდინარე კლასიფიკაციის გარეშე | სტანდარტებით მოთხოვნილი მინიმალური შესადარისი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა;
- **უძრავი ქონებების შეფასებები** – არასაკმარისი ინფორმაცია/არგუმენტაცია უძრავი ქონებების კლასიფიკაცია/აღრიცხვის მეთოდებთან დაკავშირებით, მათ შორის ძირითადი დაშვებებისა და შეფასებებზე, შეფასების მეთოდებზე, რეკლასიფიკაციებსა და გადაფასებებზე;
- **გაუფასურების მოდელი** - არასაკმარისი გამჭვირვალობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ (როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინფორმაცია);
- **სასესხო (საპროცენტო) ვალდებულებები** – არასრული ინფორმაციაა გამჟღავნებული სასესხო ვალდებულებების მახასიათებლებზე: დათქმების დარღვევები, შესაბამისი კლასიფიკაცია, უზრუნველყოფა, სხვ.



- **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:**
 - განზოგადებული, რიგ შემთხვევებში გაურკვეველი/არასრული ჩანაწერები აუდიტორთა დასკვნებში;
 - გარკვეულ შემთხვევებში კვალიფიციური მოსაზრებისას, არ არის გამოქვეყნებული კვალიფიციაციის საკითხის პოტენციური ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე;
- **მმართველობითი ანგარიშგება:**
 - საკმაოდ დაბალი ხარისხის, არასრული, დაუზუსტებელი და მწირი ინფორმაცია, განზოგადებული აღწერები.
- **ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება:**
 - ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგებები ხასიათდება „ფასს“ სტანდარტებთან მატერიალური შეუსაბამობით, რომელთა უმეტესობა მხოლოდ 4 ფინანსურ ანგარიშგებას მოიცავს თანდართული შენიშვნების გარეშე.
- **მიმდინარე ანგარიში:**
 - არსებითი მოვლენების/ინსაიდერული ინფორმაციის ეროვნულ ბანკთან წარდგენა და გასაჯაროება ძირითად შემთხვევებში არ ხდება.
- **ანგარიშგებების დროული წარდგენა/გასაჯაროება:**
 - პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გათვალისწინებით, 2020 წელს სებ-ის მიერ გახანგრძლივდა ანგარიშგებების წარდგენის ვადები. აღნიშნულის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში ანგარიშვალდებული საწარმოები მნიშვნელოვნად გვიან წარადგენენ ფინანსურ ანგარიშგებებს;



წლიური ფინანსური ანგარიშგება

- 2020 წლის მიმოხილვის პროცესში იდენტიფიცირებულ საკითხებთან ერთად, 2021 წლისთვის სებ-ის მიმოხილვის პრიორიტეტებს დაემატება განახლებული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და COVID-19-ის ფონზე აქტუალური საკითხები, როგორცაა:
 - საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობის პრინციპი
 - უძრავი ქონებების შეფასებები
 - გაუფასურების ტესტი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის შეფასებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

- აუდიტორული დასკვნების შესწავლა კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებებისა თუ სხვა ინფორმაციასთან მიმართებით;

მმართველობითი ანგარიშგება:

- წლიური ანგარიშის დაჯილდოების დონის ძიება (მსოფლიო ბანკთან და სარასთან ერთობლივი ორგანიზებით)/დონის ძიების ფარგლებში შემუშავებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიხედვით, იდენტიფიცირებული მატერიალური ხარვეზების ანგარიშვალდებულ საწარმოებთან კომუნიკაცია;

ნახევარი წლის ანგარიშგება:

- ფასს სტანდარტებთან შესაბამისობა/ნახევარი წლის მმართველობითი ანგარიშის პირველი მიმოხილვა;

დროული წარდგენა და გასაჯაროება:

- კანონმდებლობით განხორციელებული ცვლილებებისა და 1 ფანჯრის პრინციპის დანერგვის შედეგად, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ანგარიშგებების დროულ წარდგენასა და გასაჯაროებაზე;

მიმდინარე ანგარიშგება:

- ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროების ჩარჩოს პრაქტიკული დანერგვა და აღსრულების უზრუნველყოფა;



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ!

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტი
კორპორატიული ფინანსების განყოფილება

e-mail: cm.corporate@nbg.gov.ge